

უცხოური საწარმოს ფილიალი “ვიბრო დიაგნოსტიკ“
(ს/კ 445435930)

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

უსფ „ვიბრო-დიაგნოსტიკ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით.

	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	10783448	10112454
გრძელვადიანი ინვესტიციები	76354902	78840958
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	2742	2742
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	87141092	88956154
მიმდინარე აქტივები		
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	17282754	1378588
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8388223	8389604
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	338213	303010
საგადასახადო მოთხოვნები	1215745	2221493
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	301244	283963
მთლიანი მიმდინარე აქტივები	26310434	10355165
სულ აქტივები	125932988	120701888
ვალდებულება და კაპიტალი		
გრძელვადიანი სესხები	(70272302)	(70845751)
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულება	(70272302)	(70845751)
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები	(34233886)	(21301069)
გადასახდელი ხელფასები	(221)	13435
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(5538760)	(5617464)
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები	(41969350)	(32322662)
მთლიანი ვალდებულებები	(112241652)	(103168413)
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	(6192887)	(6239502)
პერიოდის მოგება/ზარალი	(7498449)	(11293973)
დაუფარავი ზარალი		
მთლიანი კაპიტალი	(13691336)	(17533475)
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი	(125932988)	(120701888)

ხელმოწერილი პირები

დირექტორი: სოლიკო ფრიდონაშვილი

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო

ბუღალტერი: ლაშა ხარებავა

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო



უსფ „ვიბრო-დიაგნოსტიკ“

მოგება-ზარალის ანგარიშგება; კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;


	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი მომსახურებიდან	14876574	8365702
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	(79805)	(64401)
ცვეთის ხარჯი	(670230)	(671843)
შრომის ანაზღაურება	(1031788)	(1019354)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(10904519)	(5186770)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	2190232	1423334
კურსთაშორის სხვაობა	332602	751513
საპროცენტო ხარჯი	(6594095)	(6323753)
ფინანსური ხარჯი	(4071261)	(4148906)
საპროცენტო შემოსავალი	8035273	8125138
ფინანსური შემოსავალი		-
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან	80335273	8125138
სხვა შემოსავალი	11457	16394
სხვა ხარჯები	(233792)	(197102)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	3741677	3795524
მოგების გადასახადი		-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის	3741677	3795524

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	კაპიტალის შენატანი	სულ
1 იანვარი, 2018	(6192887)		(74984449)		(13691336)
გაცემული დივიდენდი	-	-	-		-
მოგება წლის განმავლობაში	-	-	(3795524)		(3795524)
საწესდებო კაპიტალის	-	-	-	(46615)	-
31 დეკემბერი, 2018	(6239502)		(11293973)		(17533475)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი: სოლიკო ფროდონაშვილი

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო



ბუღალტერი: ლაშა ხარებავა

30 სექტემბერი, 2019
ბათუმი, საქართველო

უსფ „ვიბრო-დიაგნოსტიკ“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები	31037168	25118390
გაცემული ფულადი სახსრები	(22599409)	(20123880)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	8437759	4994510
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა		46615
კაპიტალის შევსება		
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	8437759	46615
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(12119)	(2471)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(9190245)	(5073857)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(764605)	(35203)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1102818	338213
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	338213	303010

ხელმოწერი პირები

დირექტორი: სოლიკო ფრიდონაშვილი

30 სექტემბერი, 2019

ბათუმი, საქართველო



ბუღალტერი: ლაშა ხარეზავა

30 სექტემბერი, 2019

ბათუმი, საქართველო

სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

უცხოური საწარმოს ფილიალი „ვიბრო დიაგნოსტიკ“ (ს/კ 445435930) , რომელიც - რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ვოლსკის 2 საწარმო დაფუძნებულია არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ნავთობპროდუქტების მიღება-განთავსება და გადატვირთვის მომსახურების გაწევა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2017 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.1 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------|------|
| - შენობა ნაგებობები | -5 % |
| - საოფისე აღჭურვილობა | -20% |
| - ავეჯი და მოწყობილობები | -20% |

- სატრანსპორტო საშუალებები -20%
- სხვა ძირითადი საშუალებები -5%

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.5 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.7 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

3.8 მოგების გადასახადი

საწარმო გადასულია მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე 2017 წლის 1 იანვრიდან. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი: სოლიკო ფრიდონაშვილი

ბუღალტერი: ლაშა ხარებავა

30 სექტემბერი, 2019

30 სექტემბერი, 2019